განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა „ ტურიზმი“

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 21 მაისი 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13.07.2018

თბილისი

2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (1 საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ტურიზმის ბაკალვარი, 1120 Bachelor of Tourism
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი (სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე (ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ცირამუა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომ - უნივერსიტეტი) მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი" ახალი პროგრამაა. აღნიშნული პროგრამის შემუშავებამდე, უნივერსიტეტში მოქედებდა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, რომლის კვალიფიკაციაც არსებითად განსხვავდება შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაციისგან. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა კვლაფიკაციას ანიჭებს მიმართულებათშორისი დარგების ან სპეციალობების კოდით (1120), მაშინ როდესაც ძველი პროგრამით ენიჭებოდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი. აღნიშნულის მიუხედავად, შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ყველა ის ნაკლოვანი მხარე, რაც ახასიათებდა მანამდე მოქმედ პროგრამას და, შეძლებისდაგვარად, შემცირებული იქნა ახალი პროგრამის წარმატებული განხორციელების ხელისშემშლელი რისკები.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს, საიდანაც 190 ECTS კრედიტი მოდის სავალდებულო კომპონენტებზე ხოლო 50 თავისუფალ ECTS კრედიტებზე. სასწავლო კრედიტებში 40 ECTS კრედიტი ეთმობა უცხო ენას, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებზე გამოყოფილია 120 ECTS კრედიტი, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს ეთმობა 10 – 10 ECTS კრედიტი.

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ერთი ECTS კრედიტი გულისხმობს 25 საათს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 21 მაისს. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა. მათ შორის, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, კონსულტანტს საფინანსო საკითხებში, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოქმედი ტურიზმის პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. შემოწმდა საბაკალავრო ნაშრომები.

ინფორმაციის დაზუსტების მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა მიერ გამოთხოვილი იქნა სხვადასხვა სახის დოკუმენტები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასწავლო ელექტრონული პორტალი ფუნქციონალური სერვისების მიხედვით.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელებს გააცნეს პროგრამის შეფასების შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის მიზნები მეტწილად შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და მეტწილად ხორციელდება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობასია მოთხოვნებთან, პროცესი გამჭვირვალეა და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, წინაპირობები ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმები გამჭირვალეა და შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

სტუდენტი ნაწილობრივ იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. დაწესებულებას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული აქვს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობა. დაწესებულება ნაწილობრივ უწყობს ხელს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. დაწესებულება ნაწილობრივ უზრუნველყოფს სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციას.

პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირები თავად ფლობენ შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამის განხორციელება მეტწილად ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.შიდა და გარე შეფასება მეტწილად გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.

- **რეკომენდაციები**
  - გადამუშავდეს ,,აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სილაბუსი სავალდებულო ლიტერატურის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, კვლევითი ნაშრომის დაწერის პრაქტიკული უნარების გამომუშავების შედეგის უზრუნველსაყოფად.
  - გაიზარდოს სასწავლო კურსებზე ,,ტურიზმის ეკონომიკა“, ,,ტურიზმის მენეჯმენტი“ და ,,ტურიზმის მარკეტინგი“ გამოყოფილი ECTS კრედიტების მოცულობა.
  - სწავლის შედეგების კორექტირება აკადემიური წერის, ტურიზმის სამართლებრივი რეგულირების და ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის საფუძვლების, საქართველოს ისტორიის, ბიზნეს კომუნიკაციების, MICE ტურიზმის სილაბუსებში.

- პროგრამაში გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება დაიგეგმოს მეტი ორგანიზაციისა და საჭირო რესურსის მობილიზებით.
- ადმინისტრაციამ უზრუნველყოს მეტი დამსაქმებელის ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში.
- დამსაქმებლებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები მოითხოვს სპეციფიკაციას დამქირავებლების მხრიდან კონკრეტული ვალდებულებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, პროგრამის განხორციელების პროცესში.
- მიზანშეწონილია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულად, სემესტრების მიხედვით გადანაწილება და წინაპირობების განსაზღვრა.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების (ტურიზმის გეოგრაფია, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები) სახელწოდების ან სილაბუსის შინაარსის (თემატიკა) მოდიფიცირება.
- დაიხვეწოს და უფრო გასაგები გახდეს სტუდენტებისათვის საგნის არჩევის პროცედურები.
- გაუმჯობესდეს ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის მუშაობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების მაღალი ხარისხი.
- გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა საუნივერსიტეტო სერვისებთან მიმართებაში სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების საშუალებით.
- გაიზარდოს ძალისხმევა და სტუდენტებს ეცნობოთ მათი უფლებებისა და მათთვის დაწესებული შეზღუდვების შესახებ.
- გატარდეს ღონისძიებები საუნივერსიტეტო კვლევებში სტუდენტთა ჩართულობის გასაზრდელად.
- გატარდეს ღონისძიებები სტუდენტთა კომპეტენციების ასამაღლებლად სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობისათვის ან საკონფერენციო ნაშრომის/სტატიის/საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისათვის.
- გაიწეროს და სტუდენტებს გაეცნოს მათი ინიციატივების დაფინანსების გზები და შეფასების კრიტერიუმები.
- უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისათვისა და კურსდამთავრებულთათვის დარგის შესაბამისი უცხოელი ექსპერტების/პროფესორების მიერ გამოცდილების გაზიარება.
- მიზანშეწონილია დაწესებულების საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო ლიტერატურაზე მისაწვდომობა შეუზღუდავი რეჟიმით დაწესდეს.
- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა წარმოდგენილი პროგრამისთვის.
- გატარდეს ღონისძიებები კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრის და საგარეო ურთიერთობათა სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტში გაიწეროს ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმა.
- სასურველია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის აღწერილობითი დოკუმენტის შექმნა, სადაც მოცემული იქნება არსებული რესურსის

გადანაწილება მიზნობრივად სემესტრულად განსახორციელებელი ღონისძიებების მიხედვით, ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისათვის.

- სასურველია, განვითარდეს დამსაქმებლებთან კავშირი შრომის ბაზრის ტენდენციებზე უკეთ ორიენტირების მიზნით, პროგრამის ხარისხის ამაღლების მისაღწევად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - უნივერსიტეტი პროგრამის 20 სტუდენტს კერძო კომპანიასთან (ჰუალინგი) თანამშრომლობის ფარგლებში სთავაზობს დამატებითი უცხო ენის (ჩინური ენა) უფასოდ შესწავლას.
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები მეტწილად შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია გამოხატავს უნივერსიტეტის სწრაფვას შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს და, იმავდროულად, განასახიერებდეს საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებს. მისიიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის საქმიანობა ორიენტირებულია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. პროგრამის მიზანია მომზადდეს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება ტურიზმის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების, ტურიზმის ეკონომიკის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის, ტურისტული ბაზრის თავისებურებების, ტურიზმის სამართლებრივი საკითხების, დარგის კონკურენტუნარიანობის, მსოფლიო და ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის ფუნქციონირების აქტუალური პრობლემების შესახებ ფართო ცოდნა და, ასევე, ისეთი დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმების ბაზარზე პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტულ უპირატესობას. შესაბამისად, შესაფასებლად წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანი პასუხობს უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მომზადებამდე ჩატარდა ტურიზმის ბაზრის და დასაქმების ბაზრის კვლევა, რომლის საფუძველზეც, გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით, შემუშავდა თვისებრივად ახალი შინაარსის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც კონტსექტით განხილულ იქნა ახალი პროგრამის სახით. პროგრამაში დაემატა მეორე უცხო ენა, მოხდა ორივე უცხო ენის კომპონენტების მოცულობის ზრდა, სასწავლო კურსების შინაარსის მოდერნიზაცია, სწავლის მეთოდების განახლება, სწავლის საფასურის შემცირება, გარკვეული სასწავლო კურსების გამსხვილება და ა.შ. მეოთხე სტანდარტში მოცემული ანალიზის საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ პროგრამის შედეგების მიღწევა მეტწილად შესაძლებელია უნივერსიტეტის არსებული რესურების პირობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია.
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის დებულება.
- გასაუბრება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.
- ტურიზმის და შრომის ბაზრის კვლევა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს, საიდანაც 190 ECTS კრედიტი მოდის სავალდებულო კომპონენტებზე ხოლო 50 თავისუფალ ECTS კრედიტებზე. სასწავლო კრედიტებში 40 ECTS კრედიტი ეთმობა უცხო ენას, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებზე გამოყოფილია 120 ECTS კრედიტი, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს ეთმობა 10 – 10 ECTS კრედიტი.

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ერთი ECTS კრედიტი გულისხმობს 25 საათს.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ საკრედიტაციოდ წარმოდგენილი "ტურიზმის" საბა-კალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალი პროგრამაა, რომლის წინამორბედსაც წარმოადგენდა საბაკალავრო პროგრამა, რომლის კვალიფიკაციაც არსებითად განსხვავდება შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაციისგან (მიმართულებათშორისი დარგების ან სპეციალობების კოდით (1120)).

სასწავლო კომპონენტების მიზნებისა და შედეგების მიღწევადობის შეფასებისას გამოიკვეთა აკადემიური წერის სილაბუსის გადამუშავების საჭიროება. კერძოდ, სასწავლო თემატიკა უპირატესად მიმართულია ფუნქციური წერის ცოდნა - უნარებისკენ და ნაკლებად უზრუნველყოფს აკადემიური წერის უნარების გამომუშავებას: მათ შორის კვლევითი ნაშრომის დაწერის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. სასწავლო კურსი საჭიროებს სწავლების და შეფასების მეთოდების

რევიზიას, თემატიკის დატვირთვის ცვლილებას აკადემიური ნაშრომების წერის სასარგებლოდ, აკადემიური პატიოსნების უზრუნველმყოფი მეთოდიკის შესწავლას, სავალდებულო ლიტერატურის განახლებას. აკადემიურ წერის სილაბუსში და კომპეტენციების რუქაზე, არ არის წარმოდგენილი კომუნიკაციის, სწავლის უნარი და ღირებულებები. სილაბუსის შინაარსი ნაწილობრივ იძლევა საჭირო უნარებსა და ცოდნას მეოთხე კურსზე სავალდებულო კომპონენტის ,,საბაკალავრო ნაშრომის" შესასრულებლად. მაგალითად, კურსის სილაბუსით არ ხდება პრეზენტაციის უნარის შეფასება, თუმცა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი იყო პრეზენტაციის შეფასების გრაფა.

მიუხედავად იმისა, რომ შესაფასებლად წარმოდგენილ პროგრამას არ ჰყავს სტუდენტები, კურსდამთავრებულები და არ არის შესრულებული კვლევითი ნაშრომები, მოქმედ პროგრამაზე წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან და აკადემიური წერის პედაგოგთან გასაუბრებებმა ცხადჰყო, რომ სილაბუსი საჭიროებს გადამუშავებას უკეთესი შედეგების მიღების მიზნით.

უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუსას დაგვიდასტურა, რომ სტუდენტებთან სამეცნიერო პროექტებზე/კვლევებზე/საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში მათ უწევთ იმაზე მეტი ძალისხმევის გაწევა, ვიდრე ეს ლოგიკურად იქნებოდა დასაშვები.

უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, უპირატესად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის სათანადო დონით. პროგრამის შეფასებამ გვიჩვენა, რომ სასწავლო კურსების ,,ტურიზმის ეკონომიკა", ,,ტურიზმის მენეჯმენტი" და ,,ტურიზმის მარკეტინგი" საჭიროებს მათზე გამოყოფილი ECTS კრედიტების მოცულობის გაზრდას (თითოეულზე გამოყოფილია 3-3 ECTS კრედიტი), ,,მიკროეკონომიკის საფუძვლების", ,,მაკროეკონომიკის საფუძლების" (6 - 6 ECTS კრედიტი), ,,მენეჯმენტის საფუძვლების" და ,,მარკეტინგის საფუძვლების" (5-5 ECTS კრედიტი), სასწავლო კურსებზე გამოყოფილი სასწავლო კრედიტების შემცირების საფუძველზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე.

ამასთან, რიგი სასწავლო კურსები გადიან შედეგებზე, რომლებიც არ არის აღწერილი სილაბუსებსა და პროგრამაში. მაგალითად, ტურიზმის სამართლებრივ რეგულირებას არ აქვს დასკვნის უნარი და ღირებულებები, მაშინ როდესაც სილაბუსში წარმოდგენილი თემებია საკონტრაქტო-სახელშეკრულებო ურთიერთობები, ადამიანის უფლებები, ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსი და ა.შ. ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის საფუძვლებს, საქართველოს ისტორიას, ბიზნეს კომუნიკაციებს, MICE ტურიზმს არ აქვთ სწავლის უნარი შედეგებში, ამასთან ყველგან ჩართულია პრეზენტაციის მეთოდი და თეორიული საკითხები, რომელიც სხვა უნარებთან ერთად განაპირობებენ სწავლის უნარის განვითარებას.

პრაქტიკული უნარების განვითარებას უნივერსიტეტში უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო პრაქტიკის მოდული. უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, თუმცა ინტერვიუსას გაირკვა, რომ ამ ორგანიზაციების უმრავლესობაში პროგრამის სტუდენტები ჯერ პრაქტიკაზე არ ყოფილან. გასაუბრებაზევე გაირკვა, რომ პროგრამის სავალდებულო კომპონენტის განხორციელების ნაწილში ჩართული კომპანიები ყველა სტუდენტის პრაქტიკაში ჩართვას ვერ განახორციელებენ. პროგრამაზე მისაღები ვაკანტური ადგილების რაოდენობა 30-ია - პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელმა ერთ-ერთმა დაწესებულებამ კი განაცხადა, რომ ჯამურად 10-ზე მეტ სტუდენტს ვერ გაატარებს პრაქტიკის კომპონენტს (რესტორნის პრაქტიკის მოდული).

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად, კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრულ შესაბამისი დონის შედეგების მიღწევას ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამის შემდეგი კომპონენტები: ECTS კრედიტებით განსაზღვრული

პროგრამის მოცულობა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) გათვალისწინებული საგნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან. ○ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ○ აკადემიური წერის სილაბუსი.
რეკომენდაციები: ○ გადამუშავდეს ,,აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სილაბუსი სავალდებულო ლიტერატურის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, კვლევითი ნაშრომის დაწერის პრაქტიკული უნარების გამომუშავების შედეგის უზრუნველსაყოფად. ○ გაიზარდოს სასწავლო კურსებზე ,,ტურიზმის ეკონომიკა“, ,,ტურიზმის მენეჯმენტი“ და ,,ტურიზმის მარკეტინგი“ გამოყოფილი ECTS კრედიტების მოცულობა. ○ სწავლის შედეგების კორექტირება აკადემიური წერის, ტურიზმის სამართლებრივი რეგულირების და ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის საფუძვლების, საქართველოს ისტორიის, ბიზნეს კომუნიკაციების, MICE ტურიზმის სილაბუსებში. ○ პროგრამაში გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება დაიგეგმოს მეტი ორგანიზაციისა და საჭირო რესურსის მობილიზებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. შეფასებული სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის

კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების შესაბამისად. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიმართულების, სპეციალობის და სპეციალიზაციების ჩამონათვალში ტურიზმი წარმოდგენილია მიმართულებათშორის დარგებში (11) (კვალიფიკაციის კოდი 1102). კვალიფიკაციის ფორმირების წესის მიხედვით პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვალიფიკაციის ფორმირება შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან. წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ყველა ის ნაკლოვანი მხარე, რაც ახასიათებდა მანამდე მოქმედ პროგრამას და, შეძლებისდაგვარად, შემცირებული იქნა ახალი პროგრამის წარმატებული განხორციელების ხელისშემშლელი რისკები. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კვლევები და სტუდენტთა შრომები, რომლებიც შესრულდა მოქმედი პროგრამის ფარგლებში, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომები, არ არის შესრულებული აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად - ნაშრომებს არ გააჩნია სტრუქტურა, კვლევებისას არ არის გამოყენებული ვალიდური მეთოდები და ნაშრომები დაფუძნებულია ისეთ წყაროებს, რომელსაც არ გააჩნია სამეცნიერო ღირებულება და ვალიდურობა (მაგ. ვიკიპედია და სხვა მსგავსი ვებ პორტალები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა. ○ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება. ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე.

შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა ტურიზმის და დასაქმების ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა. ასევე, დასაქმებისა და შრომის ბაზრის კვლევა. კვლევის მიზანი იყო დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დადგენა. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა ერთ-ერთი ძლიერი მხარე შეიძლება იყოს ორი უცხო ენის ცოდნა და კომპეტენციები (რაც აღინიშნა დამსაქმებლებთან ინტერვიურებისას), რის საფუძველზეც შესაფასებელ პროგრამაში გაძლიერებული წილით წარმოდგენილია ორი უცხო ენა - ინგლისური და რუსული. ამასთან, პროგრამის კონტექსტით წარმოდგენილი შედეგები, ფართო ცოდნა ტურიზმის მიმართულებით, კვლევითი და პრაქტიკული ზოგადი და დარგობრივი უნარები, იქნება წინაპირობა განათლების მეორე საფეხურზე პროფილურ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და ასევე, დასაქმების ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა.
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება.
- პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრება.
- პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება.
- კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი,

სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და მეტწილად ხორციელდება. უნივერსიტეტში შემუშავებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია: 30/12.2016) და ხორციელდება. დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად რეკომენდირებული ინდიკატორები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სისტემატურად ხორციელდება პროგრამის განვითარება. სწორედ აღნიშნული მექანიზმის შედეგია აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი თვისებრივად ახალი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულთა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომლის საფუძველზეც შემუშავდა პროგრამა. ამასთან, წარმოდგენილი იქნა დამსაქმებლებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები, რომლებიც მოითხოვს სპეციფიკაციას - რა სახის ვალდებულებას იღებს და უზრუნველყოფს დამქირავებელი პროგრამის განხორციელებისას. დამსაქმებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ კვლევაში არ მონაწილეობდნენ გასაუბრებაზე მყოფი პოტენციური დამსაქმებლები. ამასთან, კვლევაში ჩართული იყო მხოლოდ ორი დამსაქმებელი, რაც ეჭვქვეშ აყენებს დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს ვალიდურობის თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა. ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში. ○ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება. ○ პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრება. ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება. ○ კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა და შრომის ბაზრის ანალიზი. ○ გაფორმებული მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: ○ ადმინისტრაციამ უზრუნველყოს მეტი დამსაქმებელის ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში. ○ დამსაქმებლებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები მოითხოვს სპეციფიკაციას დამქირავებლების მხრიდან კონკრეტული ვალდებულებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, პროგრამის განხორციელების პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, პროცესი გამჭვირვალეა და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, წინაპირობები ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები). ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში. ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები - ინტერაქტიული, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, პრეზენტაცია. საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსა და სწავლის შედეგებს. სწავლების მეთოდები მორგებულია სწავლის შედეგებსა და კურსის სპეციფიკას. როგორც ზემოთ აღინიშნა (1.2 სტანდარტი) სასწავლო კომპონენტების მიზნებისა და შედეგების მიღწევადობის შეფასებისას გამოიკვეთა აკადემიური წერის სილაბუსის გადამუშავების საჭიროება. კერძოდ, სასწავლო თემატიკა უპირატესად მიმართულია ფუნქციური წერის ცოდნა - უნარებისკენ და ნაკლებად უზრუნველყოფს აკადემიური წერის უნარების გამომუშავებას: მათ შორის კვლევითი ნაშრომის დაწერის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. სასწავლო კურსი საჭიროებს სწავლების და შეფასების მეთოდების რევიზიას, თემატიკის დატვირთვის ცვლილებას აკადემიური ნაშრომების წერის სასარგებლოდ, აკადემიური პატიოსნების უზრუნველმყოფი მეთოდიკის შესწავლას, სავალდებულო ლიტერატურის განახლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები

○ გადამუშავდეს ,,აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სილაბუსი სავალდებულო ლიტერატურის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, კვლევითი ნაშრომის დაწერის პრაქტიკული უნარების გამომუშავების შედეგის უზრუნველსაყოფად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, პროგრამაში შემავალი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსებიდან რამოდენიმე (ეკოლოგიური ტურიზმი, ტურიზმის ეკონომიკა, მარკეტინგის საფუძვლები, სტატისტიკა ტურიზმისათვის, საქართველოს კულტურის ისტორია, სამკურნალო ტურიზმი) საჭიროებს თანმიმდევრულად, სემესტრების მიხედვით გადანაწილებას (მაგ. კურიკულუმში ტურიზმის ეკონომიკა შეთავაზებულია მეორე კურსის პირველ სემესტრში და ა.შ.), სასწავლო კურსები: ტურიზმის გეოგრაფია, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები საჭიროებს დასახელების (სახელწოდება) ან სილაბუსის შინაარსის/თემატიკის მოდიფიცირებას, განსასაზღვრია ასევე, სასწავლო საგნებზე დაშვების წინაპირობები (რელიგიური ტურიზმი, ტურიზმის უსაფრთხოება, ეთნოგრაფია, MICE ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ კურიკულუმის რუკა. ○ სილაბუსის ავტორებთან (მოწვეულ პერსონალთან) გასაუბრება.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევურლად, სემესტრების მიხედვით გადანაწილება და წინაპირობების განსაზღვრა. ○ მიზანშეწონილია სასწავლო კურსების (ტურიზმის გეოგრაფია, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები) სახელწოდების ან სილაბუსის შინაარსის (თემატიკა) მოდიფიცირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ კურიკულუმის რუკა. ○ სილაბუსის ავტორებთან (აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან), სტუდენტებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმები გამჭირვალეა და შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან, სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის.

მოქმედი პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტის შეფასება ხორციელდება სამართლიანად და დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- სილაბუსის ავტორებთან (აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან), სტუდენტებთან გასაუბრება.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სტუდენტი ნაწილობრივ იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. უნივერსიტეტის წესდებისა და პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებების თანახმად, სტუდენტები პროფილის განსაზღვრასთან და სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან (დეკანი და მთავარი სპეციალისტი) იღებენ. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული საგნების სილაბუსები სტუდენტებს ელექტრონულ ფოსტაზე წინასწარ ეგზავნებათ, სემესტრების შესაბამისად. სემესტრის დაწყებისთანავე ტარდება საორიენტაციო შეხვედრები, სადაც ფაკულტეტის დეკანი თითოეული საგნის სილაბუსს აცნობს სტუდენტებს. ძველი პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში ნათელი გახდა, რომ მათი უმრავლესობა არ იყო ინფორმირებული უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ზოგიერთი სერვისისა და დაწესებული შეზღუდვების შესახებ. მაგალითად, სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა არ იყენებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების რესურსს და არც კი ფლობენ ინფორმაციას ამ რესურსის შესახებ. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უმრავლესობამ ვერ გაიხსენა ვერცერთი შეზღუდვა/აკრძალვა, რომელთაც უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და ქცევის წესები განუსაზღვრავს მათ, მათ შორის პლაგიატის აკრძალვის თაობაზე. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღწევების მხარდასაჭერად შექმნილია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: 1. კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრი. 2. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. დაწესებულებაში ვიზიტისას, მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის თხოვნისა, ვერ მოხერხდა გასაუბრება კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ხელმძღვანელთან ან თანამშრომელთან (დაწესებულების განმარტებით სამსახურში ერთი თანამშრომელი ჰყავთ - ცენტრის უფროსი, რომელიც არ იმყოფებოდა ქვეყანაში. თუმცა დაწესებულების მიერ

წარმოდგენილი ცენტრის დებულების თანახმად ცენტრს უნდა ჰყავდეს მთავარი სპეციალისტიც). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: უნივერსიტეტი სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ სთავაზობს კარიერული განვითარების სერვისების, არ აწვდის მათ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ - უნივერსიტეტში არ ჩატარებულა დასაქმებს ფორუმი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექტორის რეკომენდაციით რამდენიმე მათგანი (კურსდამთავრებულები) დასაქმდა.
მეორე გარემოება, რომელიც დაწესებულებაშია ვიზიტისას და მათი ვებ-გვერდის დათვალიერებისას გამოვლინდა, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის არაეფექტური მუშაობა გახლავთ. უნივერსიტეტი არ ახორციელებს მობილობას სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში, დაწესებულება სტუდენტებს არ სთავაზობს გაცვლით პროგრამებს. ინტერვიუზე მყოფი არცერთი სტუდენტი და კურსდამთავრებული არ იყო სხვა სასწავლო დაწესებულებაში გაცვლითი პროგრამით გაგზავნილი, ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ისინი არათუ არ იყვნენ ნამყოფნი, არც არავის იცნობდნენ მათ თანატოლებიდან, ვინც უნივერსიტეტის დახმარებით გაემგზავრა სხვა უნივერსიტეტში სწავლის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ საგანმანათლებლო ერთეულის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- დაწესებულების მიერ ადგილზე და წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
- თვითშეფასების ანგარიში.
- კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრის დებულება.

რეკომენდაციები:

- დაიხვეწოს და უფრო გასაგები გახდეს სტუდენტებისათვის საგნის არჩევის პროცედურები.
- გაუმჯობესდეს ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის* მუშაობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების მაღალი ხარისხი.
- გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა საუნივერსიტეტო სერვისებთან მიმართებაში სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების საშუალებით.
- გაიზარდოს ძალისხმევა და სტუდენტებს ეცნობოთ მათი უფლებებისა და მათთვის დაწესებული შეზღუდვების შესახებ.

*1. კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრი. 2. საგარეო ურთიერთობების სამსახური

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული აქვს სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სემესტრის დასაწყისში ვებ-გვერდზე წინასწარ ქვეყნდება კონსულტაციების ცხრილი - შესაბამისი დროისა და აუდიტორიის მითითებით. აკადემიური პერსონალის ნაწილი კონსულტაციებს აწარმოებს როგორც წინასწარ განსაზღვრულ დროს, ისე მის გარეთ - კომუნიკაციის სხვა ფორმების გამოყენებით (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონი, სხვა სამუშაო ადგილზე შეხვედრის დანიშვნა), რასაც ადასტურებს, როგორც სტუდენტებთან ინტერვიუ, ისე კურსდამთავრებულთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია და შეფასებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის დატვირთვის სქემა. ○ კონსულტაციების ცხრილი. ○ ინტერვიუ საგანმანათლებლო ერთეულის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ინფორმაციით, სტუდენტები ჩართულები არიან კვლევითი პროექტების განხორციელებაში, თუმცა აღნიშნული შემთხვევები ერთეულია და არ წარმოადგენს ზოგად სურათს. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა კომპანიებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები, რომლებშიც ზოგადად არის გაწერილი მხარეთა პასუხისმგებლობები - სწორედ ამიტომ გახდა საჭირო დამსაქმებლებთან/პრაქტიკის ორგანიზაციებთან ინტერვიუს პროცესში რაოდენობების დაზუსტება. კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განსახორციელებლად, ან მათ განსახორციელებლად დაფინანსების მოპოვებისათვის უნივერსიტეტში გაწერილი არ არის კონკრეტული მექანიზმი ან წარდგენილი იდეის შეფასების გამჭვირვალე სქემა. სტუდენტებს შეუძლიათ თავად მივიდნენ დეკანთან და ამ გზით წარადგინონ პროექტი. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა ამის შესახებ ინფორმირებული არ იყო და ისინი მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ პროექტებში იღებენ მონაწილეობას.

ბიუჯეტში ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლას, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის განხორციელებაზე, ინიციატივების დასაფინანსებლად გათვალისწინებული აქვს გარკვეული თანხები. ამასთან, ვერ მივიღეთ კონკრეტული პასუხი ფინანსური კონსულტანტისგან წინა წლებში ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზიტისას წარმოდგენილი ბიუჯეტი.
- საკონფერენციო მასალები და საბაკალავრო ნაშრომები.
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან.
- ინტერვიუ საფინანსო კონუსლტანტთან.
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- გატარდეს ღონისძიებები საუნივერსიტეტო კვლევებში სტუდენტთა ჩართულობის გასაზრდელად.
- გატარდეს ღონისძიებები სტუდენტთა კომპეტენციების ასამაღლებლად სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობისათვის ან საკონფერენციო ნაშრომის/სტატიის/საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისათვის.
- გაიწეროს და სტუდენტებს გაეცნოს მათი ინიციატივების დაფინანსების გზები და შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება ნაწილობრივ უზრუნველყოფს სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციას. უნივერსიტეტი სტუდენტებსა და პროფესორებს არ სთავაზობს გაცვლით პროგრამებს. სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა არასდროს ყოფილა სასწავლო მიზნებით საზღვარგარეთის უნივერსიტეტში. სწავლების პროცესში არ არის ჩართული უცხოელი პროფესორი, მათ შორის, სტუდენტები ვერ იხსენებენ მათი პროფესიის შესაბამის საჯარო ლექციას, ვორქშოპს ან ტრენინგს, რომელიც უცხოელმა ექსპერტმა ჩაატარა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტები 2 უცხო ენას ეუფლებიან (ინგლისური და რუსული), რამდენიმე სასწავლო კურსი შეთავაზებულია ინგლისურ და რუსულ ენებზეც. თუმცა, სტუდენტებთან ინტერვიუზე, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ერთ-ერთი შენიშვნა პროგრამასთან მიმართებაში ინგლისური ენის ფლობის დონეს უკავშირდებოდა.

დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰუალინგ ჯგუფთან თანამშრომლობით დაწესებულება სტუდენტებს ჩინური ენის უფასოდ შესწავლას სთავაზობს.

რაც შეეხება აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ისინი ხშირად იღებენ მონაწილეობას მსგავს სამეცნიერო ღონისძიებებში და დაწესებულება ფინანსურად უჭერს მხარს მათ ჩართულობას სამეცნიერო მუშაობის ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან.
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისათვისა და კურსდამთავრებულთათვის დარგის შესაბამისი უცხოელი ექსპერტების/პროფესორების მიერ გამოცდილების გაზიარება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტში გაიწეროს ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

• უნივერსიტეტი სტუდენტებს კერძო კომპანიასთან (ჰუალინგ ჯგუფი) თანამშრომლობის ფარგლებში სთავაზობს დამატებითი უცხო ენის (ჩინური ენა) უფასოდ შესწავლას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა			√	

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრა-სტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, (სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები. *ბიბლიოთეკა* - კომპიუტერული ტექნიკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურა, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზა, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core). e-Duke Journals Scholarly Collection (https://www.dukeupress.edu/). Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books IMF eLibrary (http://www.elibrary.imf.org/?redirect=true). Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/). სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი არ არიან სრულყოფილად ინფორმირებულები საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელ-ის რესურსების შესახებ. ამასთან, მათ აქვთ შეზღუდული წვდომა აღნიშნულ რესურსებზე საუნივერსიტეტო სივრცის მიღმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. ○ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზა. ○ გასაუბრება რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. ○ გასაუბრება სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია დაწესებულების საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო ლიტერატურაზე მისაწვდომობა შეუზღუდავი რეჟიმით დაწესდეს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას. ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კომპონენტის განმახორციელებელი პირები თავად ფლობენ შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დასტურდება კვლევებითა და აკადემიური გამოცდილებით. საბაკალავრო პროგრამას ხელმძღვანელობს ერთი აფილირებული ასოცირებული პროფესორი და ერთი მოწვეული პერსონალი. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ ერთი აფილირებული ასოცირებული პროფესორი ტურიზმის პროფილით. აფილირების წესი დაწესებულებაში მოკლე დროის წინ ამოქმედდა, შესაბამისად უნივერსიტეტმა ადრეულ ეტაპზე ვერ უზრუნველყო პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა აკადემიური

პერსონალის აფილირება. პროგრამის განმახორციელებელი პირები - დარგის სპეციალისტები (ტურიზმის მიმართულება) გახლავთ მოწვეული სპეციალისტები, რომლებიც არ წარმოადგენენ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და რომელთაც რამდენიმე (1-5) სასწავლო კურსის უზრუნველყოფა უწევთ. დარგის სპეციფიკიდან და პროგრამის განვითარებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მეტი აკადემიური პერსონალის მოწვევა და ჩართვა პროგრამაში მისი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ვიზიტისას გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, პროგრამის ორივე ხელმძღვანელი პარალელურად სხვა უნივერსიტეტებში ხელმძღვანელობენ სხვა პროგრამებს. აღნიშნული ფაქტორი კითხვის ნიშნებს აჩენს პროგრამის მდგრადობისა და ხარისხის მომავალი უზრუნველყოფის მიმართ, კონკრეტულად, შეუძლებელია განსაზღვრა, საჭიროების შეთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელები შეძლებენ თუ არა დროის თვალსაზრისით სტუდენტებისათვის საჭირო მოცულობისა და ხარისხის კონსულტაციის გაწევას. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია დიდი რაოდენობით მოწვეული პერსონალი - საგნების უმრავლესობას (მათ შორის სავალდებულო საგნების) სწორედ ისინი უძღვებიან. მოწვეული პერსონალის უმრავლესობა სასწავლო კურსს უძღვება სხვა რამდენიმე სასწავლებელში, ამავდროულად, ხელმძღვანელობენ სხვა უნივერსიტეტების პროგრამებს. ინტერვიუსას მათ ვერ დაასაბუთეს მათი მხრიდან სასწავლო პროცესში ეფექტური ჩართულობა. მოწვეული ლექტორები თვლიან, რომ სტუდენტების სრული რაოდენობით შევსების შემთხვევაში მათი ადამიანური რესურსი კურსების გაძღოლისათვის საკმარისი არ იქნება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ სილაბუსები. ○ პერსონალის პირადი საქმეები (რეზიუმე/CV, დიპლომები, გამოქვეყნებული შრომები). ○ საკონკურსო მასალები. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა წარმოდგენილი პროგრამისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელება მეტწილად ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, თუმცა, ეფექტიან ამოქმედებას მოითხოვს კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრი და საგარეო ურთიერთობათა სამსახური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები. ○ გასაუბრება ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან.
რეკომენდაციები: ○ გატარდეს ღონისძიებები კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრის და საგარეო ურთიერთობათა სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ გასაუბრება მოწვეულ პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ○ საბაკალავრო ნაშრომები
რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ბიბლიოთეკის წიგ-ნადი ფონდის განახლებაზე. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ფინანსურ დოკუმენტში (ბიუჯეტი) ნაჩვენებია ბიზნესის სკოლის პროგრამების საერთო ფინანსური ნაწილი, თუმცა ცალკეული ფინანსური ჩაშლა არ ჩანს ტურიზმის პროგრამასთან მიმართებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის ბიუჯეტი. ○ გასაუბრება ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის აღწერილობითი დოკუმენტის შექმნა, სადაც მოცემული იქნება არსებული რესურსის გადანაწილება მიზნობრივად სემესტრულად განსახორციელებელი ღონისძიებების მიხედვით, ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რეგულირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და ,,საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიით". მასში გათვალისწინებულია ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის, შემუშავებული კითხვარების საფუძველზე ჩატარებული სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ახორციელებს პროგრამის გასავითარებლად საჭირო ცვლილებების დაგეგმვას და დანერგვას. პროგრამის შეფასების პროცედურებს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება სამოქედო გეგმა. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია თვითშეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები, რომლებიც პროგრამების განვითარების, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, ფინანსური ეფექტიანობის ამაღლების და სხვა ღონისძიებების გატარებისკენ არის მიმართული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა. ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში. ○ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება. ○ პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრება.

- პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება.
- კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.
- ,,საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია“ .

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შიდა შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების საშუალებით. ექსპერტების მიერ დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახდენენ სტუდენტები სპეციალური კითხვარების საშუალებით, რომელთა შედეგების გათვალისწინებასაც ახდენს შესაბამისი სამსახური. ამასთან, გამოიყენება პირდაპირი გასაუბრების, ლექციებზე დასწრების, საჩივრებისა და წინადადებების განხილების მეთოდები. სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების მიზნით ტარდება მონიტორინგი გამოკითხვის და ანკეტირების მეთოდით. სასწავლო კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები პერიოდულად აფასებენ სასწავლო პროცესსა და სასწავლო კურსებს. პროცესის ქმედითუნარიანობა დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელების, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ გასაუბრების პროცესში, თუმცა გამოიკვეთა დამსაქმებლებთან მეტი კავშირის საჭიროება შრომის ბაზრის ტენდენციებზე უკეთ ორიენტირების მიზნით.

არსანიშნავია, რომ პროგრამა შემუშავდა მხოლოდ პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინტერესთან ჯგუფების (აკადემიური, და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები) თვლასაზრისის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა.
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება.
- პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრება.
- პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება.

○ კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი. ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. ○ ,,საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია“ .
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, განვითარდეს დამსაქმებლებთან კავშირი შრომის ბაზრის ტენდენციებზე უკეთ ორიენტირების მიზნით, პროგრამის ხარისხის ამაღლების მისაღწევად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტურიზმი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 31

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა			✓	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი



ეკა დევიძე



დავით ცირამუა